№ 64

ოთხშაბათი, 22 მარტი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 64

...ი, 22 მარტი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## სახალხო სეირნობა
### საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ“. განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

### ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი,

წესდების მე-91 §-ის ძალით, ამით აუწყებს ბ-ნთ ბანკის რწმუნებულთ, რომ ამა 1900 წლის 26 აპრილს, დილის 10 საათზედ, დანიშნულია საზოგადო მორიგი კრება. კრება მოხდება ტფილისში, ბანკის სადგომში. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს შემდეგი მოხსენებანი:

1, ბანკის 1899 სამოქმედო წლის ანგარიში და ამ ანგარიშის შესახებ მოხსენება ბანკის გამგეობისა.

2, ბანკის ამა მიმდინარე წლის ხარჯ-აღრიცხვა.

3, მოხსენება საზოგადო საქიროებისათვის თანხის განაწილების შესახებ.

4, მოხსენება სასოფლო-სამეურნეო თანხის განაწილების შესახებ.

5, მოხსენება ბანკის დამფასებელ კომისიის წევრთა გამრავლების შესახებ და ამასთანავე დაკავშირებულ მათის ჯამაგირის რაოდენობის შეცვლისა გამო.

6, მოხსენება ბანკის 25 წლის მოღვაწეობის სახსოვარ-საყოფელად მის მოხელე-მოსამსახურეთა დაჯილდოვების გამო.

7, მოხსენება კრედიტის გაიაფების თაობაზედ.

8, მოხსენება წესდების ზოგიერთ §-ის შეცვლის გამო, იმ აზრისამებრ, რომ ბანკს უფლება მიეცეს მის მიერვე გამოცემული გირავნობის ფურცლები ბირჟაზედ შეისყიდოს თავის გასასტუმრებელ თანხის ხარჯით.

9, მოხსენება ბანკის ბაქოს საგენტოს შესახებ.

ამას გარდა რწმუნებულთა კრებამ უნდა ამოირჩიოს ზედამხედველ კომიტეტის ყველა წევრნი, აწინდელთა ნაცვლად, რომელთაც სამსახურის ვადა უთავდებათ, გამგეობის თავმჯდომარე, თავ. ი. გ. ჭავჭავაძის ნაცვლად, და წევრი (თავმჯდომარე) დამფასებელ კომისიისა, კ. ლ. ფურცელაძის ნაცვლად, და მისი კანდიდატი; გამგეობიდგან გასულის პ. რ. ყიფიანის ნაცვლად გამგეობის ერთი წევრი და მისი კანდიდატი და თავ. ნ. ა. თუმანიშვილის ნაცვლად, რომელიც ვადამდე თავისის სურვილით ანებებს თავს სამსახურს, დამფასებელ კომისიის ერთი წევრი და მისი კანდიდატი.

სხოლიო: კრება კანონიერი იქმნება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს. (3—6.—1)

კვირას, 26 მარტს, ტფილისის „სობრანიის“ დარბაზში გამართული იქნება ბ-ნ ი. გ. მონადირიშვილის ქალთა და ვაჟთა გუნდის მიერ ქართული სასულიერო

## კონცერტი
(მეორე)

მცხეთის ტაძრის განახლების ფონდის სასარგებლოდ. გუნდი იგალობებს სხვა-და-სხვა ქართლ-კახურს საეკკლესიო საგალობლებს.

გუნდში 60 ქალი და ვაჟია.

ბილეთების ფასი 4 მანეთიდგან 1 მანეთამდეა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში და „სობრანიის“ მეკარესთან.

დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზე. (3—უ.—2)

## ქართული თეატრი

შაბათს, 25 მარტს,

**ზაქ. პ. ფალიაშვილი** გამართავს უკანასკნელს ქართულს

## კონცერტს.

კონცერტი ორი განყოფილებისაგან შესდგება. მონაწილეობას მიიღებენ: ქალთა და ვაჟთა ხორო, ქ-ნი გაბუნია ცაგარლისა, თავ. ი. ა. ბარათაშვილი და სხვანი.

კონცერტის შემდეგ წარმოდგენილი იქნება

მშვენიერი ელენეს შამიებელნი

ფარსი 1 მ. გადმოკ. ა. ცაგარლისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, ტასო აბაშიძე, ბ-ნნი აბაშიძე, გედევანოვი, სვიმონიძე და სხვ.

დასასრულ

### გოგონა და ლეკური

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე.

კონცერტის გამგე ზაქ. პ. ფალიაშვილი

(3—6.—1)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინის ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(—1—წ).

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**ვ. გ. მალალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკოვიჩი**—12—1 საღოლ.ტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. ბებთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდისა—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

...ზის ქუჩა, სახლი საბუგია, ნიკოლ... 21 (კარანტოვის მეგობ... განაშვილისა, № ...იშვილი).

...ლის შიო... 274.

ტელეფონი № 2...

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა: ტფილისის მოწის-მზომელთა სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული მღვდლის შვილი ჩიჯავაძე—ურალზედ სახელმწიფო სამთო ქარხნების მკვიდრთა მიწა-ადგილას მოსაწყობ რაზმის ტოპოგრაფად; სურუბის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსის თანაშემწე, ნადვორნი სოვეტნიკი ძღენტი—ნახჩევანის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსად.

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 21 მარტს, დილის 11 საათსა და 25 წუთს, დაიწყო გაგრძელება გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადო კრებისა, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა ორი საყურადღებო საქმე. შარშან თავად-აზნაურობამ საგანგებო კრებაზედ ამოირჩია სათავად-აზნაურო ბანკის რწმუნებულნი სამის წლის ვადით. რადგან უმრავლესობამ ის აზრი გამოთქვა (...)

# ფელეტონი

## რუსთა შორის

წინასიტყვაობა.—ქართველები რუსეთში და მათი ცხოვრება.—ქართული საღამოები.—ქართული მუსიკა და ოპერა „თამარ ცბიერი“.—მელიტონ ბალანჩივაძე.—ვლ. ალექსი-მესხიშვილის კიევში ჩამოსვლა.

რუსეთიდგან მოწვდენილი წერილები ჩვენს მკითხველებს ბევრს საინტერესოს, სასიამოვნოს და საწყენარა სასიამოვნოს შეატყობინებს. განა საინტერესო არ არის საქართველოში მყოფ მკითხველისათვის, ვინ, რა ქართველები არიან რუსეთში, რას შვრებიან, როგორ სცხოვრობენ და სხვ. ეს არის უმთავრესი საგანი ჩვენი წერილებისა, შემდეგ ამისა-კი თვით რუსეთის ამა თუ იმ შესანიშნავ მოვლენის აღნიშვნა.

ჯერ ვიკითხოთ—ვინ არიან რუსეთში მყოფი ქართველები? ბევრს რუსეთში ძლიერ მცირე რიცხვი ჰგონია ქართველებისა, მაგრამ ნამდვილად საქმე აგრე არ არის. აქაურ ქართველების რიცხვი შედარებით დიდია. თითქმის ყველა მოღვაწეობის დარგში იპოვით ქართველს. ორი მესამედი ქართველებისა ყველგან (რუსეთის ქალაქებში) სტუდენტობაა, შემდეგ სამხედრო სამსახურში მყოფნი, მასწავლებელნი, ექიმნი, სხვა-და-სხვა დაწესებულებაში მოსამსახურენი და ვაჭარნი. ვინც უმაღლესს სასწავლებელში სწავლას ამთავრებს და ადგილობრივ ტომის ქალს ირთავს (რომელთა რიცხვი არა მცირეა), ის უთუოდ, თუ მუდამ არა, რამდენისამე წლით მაინც რჩება რუსეთში. მოღვაწეობა ყველგან შეიძლება, მომავალ მოღვაწეობისთვის მომზადება უნივერსიტეტის ქალაქში დარჩენით მეტად ადვილი და სასარგებლოა, მაგრამ სამწუხაროდ რუსეთში დარჩენილ ქართველების უმრავლესობას ეს სრულიადაც არ ახსოვთ და არც აინტერესებს. ისინი უფრო კრილოვის იმ ყვავს მოგაგონებენ, რომელიც ყვავებს დაშორდა და ვერც ფარშევანგობა მოახერხა. ქართულად რომ ვსთქვათ,—არც მტერს არგია და არც მოყვარეს. პროფესორები პეტრიაშვილი, ხახანაშვილი და სხვანი აქედგან მოღვაწეობენ, მაგრამ ასეთებს აქვთ ის სურვილი და ბეჯითობა, რომელნიც აქაურ უმრავლესობას აკლია. ცხოვრებაში უკვე გამოსულ ვაჟბატონებს თავი დავანებოთ და ამ ჟამად მხოლოდ მოსწავლე ახალგაზდობას შევეხოთ.

რუსეთში მყოფ ქართველ მოსწავლეების მდგომარეობა რამდენადაც საინტერესოა, იმდენად გულ-დასაწყვეტია. უკანასკნელ დროს მეტად არა სასიამოვნო სენი გამძვინვარდა მათ შორის, ე. ი. დას-დასობა, დანაწილება და პაწია გუნდის დას-დასთა შორის არა სანატრელი შეტაკება, უთანხმოება, ბრძოლა მოსწავლეთა შორის კარგია მაშინ, როდესაც ის სამეცნიერო საგნის განხილვის შედეგია და არა პირად ანგარიშებით გამოწვეული. სამწუხაროდ ერთ უნივერსიტეტის ქალაქს ვერ ნახავთ, რომ კერძოობა ვინ იცის როგორ არ ამღვრევს წყალს ჩვენ ნორჩ ახალგაზდათა შორის, არის ამათ შორის თითო ოროლა ტალახს აშორებული, მაგრამ ცხრა მეათედი იბრძვის ერთმანეთში და მთელს თავისუფალს დროს, როცა, ვინ იცის, რამდენი სასარგებლო ნაწარმოების წაკითხვა შეიძლება, ერთმარეთის კიცხვაში ატარებენ, პირად ინტერესების ვიაომდე დასაცველად აარსებენ სასამართლოებს, სწერენ ოქმებს და სხვანი... ეჰ, ღმერთო, გული გიკვდება, როცა ასეთ უაზრო საქმიანობით გართულ ახალგაზდას ჰხედავ... ყველა ეს-კი მხოლოდ ამ სამის წლის განმავლობაში მოხდა. რად? რატომ წინად არ იყო? ჩვენი უბედურებაც ეგ არის. სანამ მარტონი ვართ, კმაყოფილნი ვართ, როდესაც გავმრავლდებით და თუ უკეთესი არა, თანასწორი გამოჩნდა ვინმე, ვინ იცის რას ვფიქრობთ და რას ვჩადივართ...

დროა, დრო, ქართველმა მოსწავლე ახალგაზდობამ უარჰყოს ასეთი არასანატრელი მდგომარეობა და ახალს ნიადაგზედ დაიწყოს მუშაობა. ქართველ სტუდენტს სულ სხვა მხრივ უყურებს ჩვენი საზოგადოება, ბევრს რასმე მოელის მისგან, დიდ იმედს იმარხავს გულში... მოიგონოს ეს ჩვენმა ნორჩმა ახალგაზდობამ და კრიტიკულად განიხილოს დღევანდელი თავისი ცხოვრება...

ურთიერთში განხეთქილება საღამოების გამართვის დროსაც იჩენს ხოლმე თავს. განცხადებანი, გაზეთები ჰღაღადებენ—„ქართული საღამო იმართებაო“, საზოგადოება იძახის—„ქართველები საღამოს ჰმართავენო“, ყველანი რაღასაც არა ჩვეულებრივს მოელიან. მივდივართ საღამოზედ და

სთქვა, რომ შემდეგი არჩევანი ორის წლის მერე მოდის, ხოლო ჩვეულებრივი მორიგი კრება გუბერნიის თავად-აზნაურობისა-კი სამის წლის შემდეგ გვექნება, ამიტომ სასურველია, რომ გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება და რწმუნებულთა არჩევანის ვადა შეუთანაბრდეს ერთმანეთს, ვინაიდგან უამისოდ გუბერნიის თავად-აზნაურობას მოუხდება ჯერ ორის წლის შემდეგ შეკრება რწმუნებულთა ასარჩევად და მერე კიდევ ერთის წლის შემდეგ მორიგის კრების გამართვაო, რაც, დროს დაკარგვის გარდა, ხარჯშიაც ჩააგდებს თავად-აზნაურობასაო. ამიტომ კრებამ, მიიღო-რა მხედველობაში ეს მოსაზრებანი, დაადგინა: აწ უკვე ამორჩეულ რწმუნებულთ პირველი წლიწადი არჩევანის ვადად არ ჩაეთვალოთ და მეორე არჩევანი რწმუნებულთა დღეიდგან სამის წლის შემდეგ მოხდეს გუბერნიის თავად-აზნაურთა მორიგს კრებაზედ. შემდეგ კრებამ მოისმინა კომისიის მოხსენება სათავად აზნაურო ქარვასლისა და თეატრის შენობის შეკეთების შესახებ. კომისიის მოხსენებიდგან სჩანს, რომ ქარვასლისა და თეატრის შეკეთებას სულ მოუნდება 197,658 მან. ამისდა მიუხედავად ქარვასლა ისე მაინც ვერ მოეწყობა ამ ფულით, რომ შემოსავალი უფრო გაძლიერდეს. ამ გარემოებისა და სხვა მოსაზრებათა მიხედვით კომისიას დაუდგენია მოიცადონ იმ დრომდე, ვიდრე თავად-აზნაურობა გაისტუმრებს ქარვასლის ვალს, შემდეგ დაანგრიონ მთლად ეს შენობა და ახალს შემუშავებულ გეგმაზედ ააგონ ახალი შენობა და თეატრი. ამასთანავე ეხლანდელი თეატრის შენობა დასტოვონ ისევ ისე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობამ ნება არ მისცა იქ წარმოდგენების მართვისა, დაენიშნოს დრამატიულს საზოგადოებას სუბსიდიად 2—3 ათასი მან. კრება ბევრის კამათის შემდეგ დაეთანხმა კომისიის მოხსენებას.

⁂ მისი უწმიდესობა, სომეხთა კათალიკოსი 19 მარტს დარბაზად იყო მთავარ-მართებლის თანამდებობის აღმასრულებელ, გენერალ-ლეიტენანტ ა. ა. ფრეზესთან, ტფილისის გუბერნატორ ი. ნ. სვეჩინთანა და მის მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს საქართველოს ექსარხოს ფლაბიანესთან. სამაგიეროდ დარბაზობა გუშინწინ, 20 მარტს, გარდაუხადეს კათალიკოსს.

⁂ ამ მარტის 29-ს სრულდება 50 წელიწადი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებიდგან. ეს საზოგადოება დაარსებულია 1850 წლის 29 მარტს მ. ს. ვარანცოვის მოთავეობით.

⁂ ქართლ-კახეთის ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი ნ. გ. ტატიშვილი გორის მაზრაში წავიდა ამ მაზრის სასწავლებლების სარევიზიოდ.

⁂ ქალაქის ცხენის რკინის-გზის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ა. კ. რობის უკვე მიუღია ცნობები, რომ ტფილისში ელექტრონის რკინის გზის გასამართავად გამოუგზავნიათ ანტვერპენიდგან 1,200,000 ფუთი ლარიანი რელსები. ტეხნიკურ პირობათა შემუშავების საქმე კი მთავრდება და ჩქარა იქმნება წარდგენილი დასამტკიცებლად.

⁂ როგორც პარიჟის მსოფლიო გამოფენისათვის შეკრებილ სტატისტიკურ ცნობებიდგანა სჩანს, მთელ რუსეთის იმპერიაში სამოქალაქო, სამაზრო, ორ-კლასიანი სამრევლო-საეკკლესიო და მეორე ხარისხის კერძო სასწავლებელი ყოფილა სულ —1900. პირველ დაწყებით სასწავლებელთა (როგორც სამინისტროს, აგრეთვე სასულიერო უწყებისა) რიცხვი-კი 80 ათასამდე ადის, სადაც 4 მილიონი ბავშვი სწავლობს. ვაჟთა გიმნაზია 191-ია, პროგიმნაზია—53, რეალური სასწავლებელი—115; დედათა გიმნაზია საერო განადლების სამინისტროსი—346, იმპერატრიცა მარიამის უწყებისა—62 და სასულიერო უწყებისა (ეპარქიალური სასწავლებლები)—60. სამხედრო უწყებას 30 სასწავლებელი აქვს. უმაღლესი სასწავლებელი მთელს იმპერიაში 65-ია.

⁂ მეურნეობის დეპარტამენტს აზრადა აქვს ამ ზაფხულს გამართოს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან სამეურნეო კურსები სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის. ასეთი კურსები 25 სამეურნეო სკოლასთან იქმნება გამართული.

⁂ ამ ზაფხულს პარიჟის მსოფლიო გამოფენის დროს პარიჟში მოხდება მკურნალთა საერთაშორისო კრება. რათა რუსეთიდგან მეტ მკურნალებს შეეძლოთ ამ კრებაზე წასვლა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო საბჭოს თავმჯდომარეს შუამდგომლობა აღუძრავს გზათა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ რუსეთიდგან პარიჟში წამსვლელ მკურნალებს რკინის გზებზედ ნაკლები ფული გამოერთვათ.

⁂ 18 მარტს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განიხილა სააპელაციო წესით აზნაურის მიხეილ პავლეს ძის მეფისაშვილის საქმე, რომელსაც სხვების თავისის ძმის ივანე მეფისაშვილის მოსაკლავად წაქეზება ჰბრალდებოდა. ამ წაქეზებით მოკლულ იქმნა 1897 წლის 23 მარტს ახალციხის მაზრის სოფ. სუფლისში აზნაური ივანე მეფისაშვილი. სამართალში თვით მიხეილ მეფისაშვილის გარდა მიცემულ იყვნენ კიდევ ექვსი გლეხი. ოლქის სასამართლომ ქ. ახალციხეში განიხილა ეს საქმე 1898 წლის 9 ნოემბერს და ყველა ბრალდებულნი გაამართლა. საქმე გადატანილ იქმნა პალატაში ბრალმდებელის ამხანაგის ა. ვ. მოსკალიოვის მიერ. პალატამ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

⁂ რამდენსამე კაცს განუზრახავს შუამდგომლობა აღძრან ქუთაისში კერძო პროგიმნაზიის დაარსების შესახებ. თუ მართლა პროგიმნაზია დაარსდა ქუთაისში, დიდად სასურველია, რადგან საშუალო სასწავლებელთა სიმცირისა გამო მრავალი მსურველი გიმნაზიაში შესვლისა იძულებულია სხვა ქალაქში წავიდეს და ან სრულიად გამორჩეს სასწავლებელს.

⁂ ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრთა კრების გარდაწყვეტილებით დამტკიცებულ იქმნა პროექტი ნაფიც ვექილთა კომისსიისა. 19 მარტს ოლქის სასამართლოს დარბაზში შესდგა მ. მ. შარიგინის თავმჯდომარეობით, ნაფიც ვექილთა კრება. კრებამ ბარათებით ამოირჩია: კომისიის თავმჯდომარედ პ. ა. ოპოჩინინი, იმის ამხანაგად—ს. ვ. ჩემესოვი და კომისიის წევრებად—გ. ს. ტერ-სტეფანოვი, ნ. ა. ქალანთაროვი, ა. მ. ჰყონია, ს. ს. მელიქ-ადამოვი და ვ. ი. ელიაზაროვი, ხოლო ამათ კანდიდატებად—ვ. ნ. პახომოვი, პ. ა. ქალანთაროვი, ვ. ი. დრაგნევიჩი და რ. ი. ყარაბეგოვი.

⁂ ახალქალაქიდგან აუწყებენ გაზეთებს, რომ საფოსტო გზა გუმბრსა და ქ. ახალქალაქს შუა უკვე აღუდგენიათ და სრულიად გაუწმენდიათ თოვლის ზვავებისაგან.

⁂ სოფ. ტყვიბულის მცხოვრებლებმა მიჰმართეს ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსს და სთხოვეს ამ სოფელში საფოსტო განყოფილების დაარსება. ამ თხოვნის დასაკმაყოფილებლად ფოსტა-ტელეგრაფის მთავრობამ უკვე აღძრა შუამდგომლობა ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ-სამმართველოს წინაშე.

⁂ „Нов. Вр.“ დეპეშით აცნობებენ ბათუმიდგან 14 მარტს: „გუშინ საბჭომ მოისმინა საგანგებო კომისიის მოხსენება იმის შესახებ, რომ წარსულის წლის მაისის თვეში ქალაქის მოურავის მოადგილემ, თვით მოურავის იქ არ ყოფნის დროს, საბჭოს მიუნდობლადა და გამგეობის დაუდგენლად გამოიწერა წყლის გასაყვანად 15,000 მან. მილები, თუმცა ჯერ წყლის მილის გაყვანის პროექტიც არა აქვს ქალაქს შედგენილი, და მერე ისეთ ფასად, რომ რუსეთის ყველა ქარხანაში გაცილებით იაფად იყიდება. ეს მილები მეექვსე თვეა რუსეთის ნავთსნობისა და ვაჭრობის საწყობში აწყვია. საბჭომ, რომ როგორმე თავი დააღწიოს ამ უხერხულს მდგომარეობას, დაადგინა შუამდგომლობა აღძრას გუბერნატორის წინაშე, რომ ჩაიბაროთ ეს გამოწერილი მილები აწ არსებულ წყლის მილის გასაფართოებლადაო. რაც შეეხება ქალაქის მოურავის მოადგილის სამართალში მიცემას, ეს საგანი კავკასიის უმაღლესს მთავრობას წარედგინება მისდა განსახილველად. ივანოვი-კი გუშინ, საბჭოს კრების დღეს, ბათუმიდგან წავიდა და ამითი თავიდგან აიცილა განემარტა საბჭოსათვის, რად შეუკვეთა თავის ნებით ეს მილები, რომლის გამოსყიდვის შეძლება ქალაქს არა აქვს. ბათუმის ქალაქის თვით-მმართველობის რევიზია უეჭველია ბევრს რასმე აღმოაჩენსო“.

⁂ გორი. ქალაქის რწმუნებულთა კრებამ ერთხმად დაადგინა მიანდოს ქალაქის მოურავს აღძრას ტფილისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობა, რომ გორის თვითმართველობას ნება დაერთოს დააარსოს გორში საჯარო წიგნთ-საცავი.

⁂ კვირას, 19 მარტს, ვანქის ტაძარში წირვის დროს ლუკასოვს ჯიბიდგან ამოაცალეს ოქროს საათი ოქროს ძეწკვითურთ, 350 მან. ღირებული.

⁂ სასულიერო უწყებამ განკარგულება მოახდინა, რომ ეკკლესიებში არასოდეს არ ინახებოდეს ისეთი ფული, რაც ეკკლესიას არ ეკუთვნისო.

## ორიოდე სიტყვა ჩვენის სამღვდელოების ერთ საჭირ-ბოროტო საგნის გამო.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენის გაზეთების კორესპონდენციებს ქართლ-კახეთის სოფლებიდგან, შენიშნავდა, რომ ყოველ მხრიდგან იწერებიან: ჩვენი სოფელი განათლებით ძალიან დაბლა სდგას, ცრუ-მორწმუნეობით არის მოცული, ჯერ ვერ გამოსულა პირველ-ყოფილ მდგომარეობიდგან და თავისი ცხოვრება ცოტად თუ ბევრად ვერ გაუუმჯობესებია, ისეცკი, როგორც შეძლება ნებას აძლევს და ხვ. ამის უმთავრესს მიზეზად ასახელებენ სკოლების სიცოტავეს. დიახ, ძალიან ცოტა არის დღეს ქართლ-კახეთში სამრევლო თუ სამინისტრო სკოლა და უნდა ვთქვათ, რომ ამ მხრივ იმერეთ გურია-სამეგრელომ შესამჩნევად გაგვასწრო წინ. „სადა მაქვს, შენი ჭირიმე, იმდენი შეძლება, რომ სკოლა გავხსნა“, გიპასუხებენ გლეხები, „სწავლა რას მომიტანს, თუ კუჭი მშიერი მექნება. ჩემი შვილი რომ სკოლაში ვატარო, მე ვიღამ მიშველოს? მე ან მეხრე არ მინდა, ან მწყემსი, ან ავი, ან კარგი, ხომ დაიწია უკან ოჯახმა. პური რომ მომშივდეს, წიგნები ხომ ვერ გამაძღობენ“. აი ამ და ბევრს ამისთანა საბუთს წარმოგიდგენენ გლეხ-კაცები და დარწმუნდებით, რომ მათ ვერა აქვთ სწავლა-განათლების მნიშვნელობა შეგნებული, შესისხლ-ხორცებული, ძვალ-რბილში გამჯდარი. მერე ვისი ვალია, რომ შეაგნებინოს მათ ესა? იმათი, ვისაც ეს კარგად ესმის და სოფელში ხშირად სცხოვრობს. მაგრამ კიდეც ეს არის ჩვენი სავალალო, ამისთანა იშვიათად მოიპოვება ჩვენს სოფლებში. ვისაც ცოტა რამ უსწავლია, ის სოფელში ცხოვრებას აღარა ნდომულობს და ქალაქებისაკენ მიისწრაფის. თუ დარჩა ვინმე, ისიც იმიტომ, რომ თავისის წერა-კითხვით გაყვლიფგაგლიჯოს კაცი. „მე ხომ საკმაოდ მისწავლია და მაგათ თავში ქვაც უხ-

ძალა-უნებურად იქცევს თქვენს ყურადღებას ერთი უხამსი და საწყენი გარემოება. ორი-სამიოდე ქართველი სტუდენტი ეროვნულ ტანისამოსში გამოჭიმული ვეებერთელა დარბაზში, არტისტებთან, ბუფეტში, აქეთ-იქით, ვერა სწვდებიან ყველგან და ვინ იცის რამდენი არა სასიამოვნო სცენები ჩნდება ამის გამო. საზოგადოება ამბობს: „გამგე ცოტანი არიანო“. რად მერე? განა არ არის საკმაო რიცხვი ქართველ სტუდენტებისა?.. არის, არის მაგრამ სავალალოც ის არის, რომ ნამდვილად მხოლოდ ერთი დასი სტუდენტობისა ჰმართავს საღამოს და არა ყველანი, მხოლოდ ერთი „დასი“ ჰმოქმედობს და არა შეერთებული ძალა. როდესაც ერთი დასი საღამოზე იქანცება და მაინც ვერას ხდება, მეორე დასი სტუდენტობისა (არა ეროვნულ ტანისამოსში) უცხო სტუმარსავით ფულს იხდიან საღამოზედ დასასწრებლად და პატარძალსავით სხედან.. მკითხველო, ბედნიერი ხარ, ასეთ სანახაობას რომ ვერა ჰხედავ!..

მიუხედავად ამისა, ქართული საღამოები იმართება, საზოგადოება კმაყოფილი რჩება, ცოტად თუ მეტად ეცნობიან ქართულ მუსიკას და რაც უმთავრესია, შემოსავალი ცოტადაც არის აუმჯობესებს მოსწავლეთა დაქვეითებულ ქონებრივ მდგომარეობას.

კიევში 8 თებერვალს გამართულ საღამოზედ ზოგიერთი ახალი და სასიამოვნო ქართული მუსიკა გავიგონეთ. მართალია, მომღერალი ქალი ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ მუსიკა თავის ღირსებას თითონვე იცავდა. უმთავრესად მეტად სასიამოვნოს წარმოადგენდა ბ-ნ მელიტონ ბალანჩივაძის ახალ და პირველ ქართულ ოპერიდგან „თამარ ცბიერი“ ამოღებული ადგილები. ჩვენთვის მე ად სასიამოვნო იყო მუსიკის მცოდნეთა აზრის მოსმენა ბ-ნ ბალანჩივაძის ოპერის შესახებ.

ოპერა „თამარ ცბიერი“, როგორც თვით ბ-ნ მელიტონ ბალანჩივაძემ გადმოგვცა, უკვე ყოველ მხრივ დამთავრებულია. ეს გარემოება მეტად სასიხარულოა ჩვენთვის. ეხლა ქართულ ოპერის პირველ ავტორს სულ სხვაგვარი შრომა და ცდა სჭირია. ეს გახლავთ ის მძიმე შრომა, რომელსაც „ნაწარმოების გასაღებას“ ეძახიან. დიდად და დიდად სასურველია ამ პირველმა ქართულმა ოპერამ, სადაც სავსებით გამოისმის საქართველოს ყოველ კუთხეში გაგონილი ხმები, ფეხი მოიდგას მჭიდრო ნიადაგზედ და საოპერო სცენაზედ მოთავსდეს. ამას სცდილობს თვით ავტორი და ეს შეადგენს დღეს მის ერთად-ერთს წმიდა წადილს. ჩვენ შეგვიძლიან წრფელის გულით ვუსურვოთ ამ სურვილის განხორციელება, მაგრამ ეს ძლიერ ცოტაა, თითქმის არაფერი არ არის, რადგან დღეს-დღეობით მუსიკალურს ნაწარმოებს დაბეჭდვა სჭირია და დაბეჭდვას-კი—საკმაო ფული. ეს-კი... ეს სად აღმოჩნდება, არ ვიცი.

კიევში დაბეჯითებით ამბობენ, ვითომც ჩვენი მსახიობი ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილი მომავალ სეზონიდგან აქაურ ცნობილ ანტრეპრენიორ სოლოვცოვს მოეპატიჟოს და იმასაც თანხმობა გამოეცხადებინოს. რასაკვირველია, ბ-ნ ალექსი-მესხიშვილისთვის კიევის ძვირფას სცენაზედ საუკეთესო მსახიობთა შორის ყოფნა ყოველ მხრივ უკეთესი იქნება ჩვენ თეატრთან შედარებით, მაგრამ ნუთუ ეს აზრი უნდა გამართლდეს? მართალი მოგახსენოთ, მაინც-დამაინც სასიამოვნო არ იქნება ჩვენთვის ეს გარემოება. ბ-ნ ვლ. ალექსი-მესხიშვილმა ქუთაისში ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში თავისის მეცადინეობით, შრომითა, ნიჭითა და ერთგულობით შექმნა მთელი სკოლა, მჭიდრო ნიადაგი აუგო ქართულ თეატრს იმერეთში. თითონაც დარწმუნებული უნდა იყოს პატივცემული მსახიობი, რომ ქუთათურ სცენას არსებობა არ შეუძლიან, თუ ისეთი ბელადი არ ეყოლება. საკმაოა გადახედოთ ქუთაისის თეატრს, რომ მესხიშვილის ღვაწლი დააფასოთ. ბ-ნ მესხიშვილმა კ. მესხის ტფილისში წასვლის შემდეგ მოჰკიდა ხელი ქუთაისის არა სანატრელ მიზეზების წყალობით დანგრეულ სცენას. ახალგაზდა მსახიობები გაწვრთნა, თეატრის ბედი წარმატების გზაზედ დააყენა, საზოგადოებას ემსახურა, და აი ეხლა ამბობენ რუსეთში მიდისო. ეს ჩვენ არა გვჯერა. ბ-ნი ვლ. მესხიშვილი ცოტად დასუსტებულია, ასეც რომ არ იყოს, დარწმუნებული ვართ მარტო ქონებრივ მხარეს არ ანაცვალებს ყველაფერს, არ დასტოვებს იმ საზოგადოებას, რომელიც ყოველ მის სიტყვას აღტაცებით ისმენს...

მალაქია ბოლქვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიათო“, ჰფიქრობს იგი. „ის არა სჯობიან, რომ თუ დასაწერი აქვთ რამე, ან წასაკითხი, ჩემთან მორბიან და ჩემს ჯიბეს ორიოდე გროშსა ჰმატებენ. რომ თითონაც ისწავლონ რამე, მე საჭირო აღარ ვიქნები და მშიერი მოვკვდებიო“. წადი და ამისთანასაგან მოელოდე რასმეს. რასაკვირველია, არიან ამისთანათა შორის ხალხის გულ-შემატკივარნიც, მაგრამ ისე ცოტა, რომ მათ გამოლაპარაკი არც ღირს...

დაგვრჩენია ერთად-ერთ იმედად სამღვდელოება და მისკენ მიგვიქცევია იმედის თვალი. მოძღვარი დაყენებულია „მწყსოს ცხოვარნი თვისნი“, ვამბობთ ჩვენ. მან უნდა ადევნოს თვალ-ყური „მათს სულიერს და ქონებრივ ზრდასაც-კი, მათს ყოფა-ქცევას, უნდა სცდილობდეს ჩაუნერგოს მაღალი და კეთილ-შობილი მისწრაფებანი, აუხილოს გონების თვალნი, გაახედ-გამოახედოს აქეთ იქით, დაანახვოს უკეთესი ცხოვრება, შეაყვაროს სწავლა-განათლება“ და სხვ. დიახ ბევრს ამისთანას სთხოვენ სოფლის მღვდლებს და უკიჟინებენ კიდეც, არას აკეთებთო. ტყუილად. ჩვენს სოფლებში ბევრია ღირსეული მღვდელი, მაგრამ... თუ თესლი კარგს ნოყიერ ალაგზედ არ დაეცა და სადმე კლდეებში ჩავარდა, ნაყოფს ვერ მოიტანს. ჩვენს ძველებსაც უთქვამთ: „კარგს მთქმელს კარგი გამგონეც უნდაო“. ნასწავლსა და განათლებულს კაცს საკმაოა დავუმტკიცოთ საბუთებითა და ლოგიკით ამა თუ იმ აზრის სიმართლე და იგი მაშინვე დაინახავს სიმართლეს. უსწავლელს გლეხს კი, რომელსაც გონება ბნელით აქვს მოცული, არ შეუძლიან კრიტიკულად შეხედოს ამა თუ იმ აზრს, უნდა არა დამტკიცება, არამედ „დაჯერება“, რომლისათვისაც საჭიროა ნდობა. ეს არის პსიხოლოგიური კანონი. უნდობლად აზრს, რაც უნდა ცხადი იყოს, არ მიიღებს.

საუბედუროდ აი ეს საჭირო ნდობა და სიყვარული ძლიერ სუსტობს სოფლად მღვდელსა და მრევლს შუა. რა უნდა იყოს ამისი მიზეზი? რატომ არ უნდა ენდოს და უყვარდეს მორწმუნე გლეხ-კაცს მღვდელი, რომელიც უწირავს, წმიდა ზიარებას აწვდის, უსრულებს სხვა-და-სხვა ქრისტიანულს წესს? სხვა მიზეზთა შორის დავასახელებთ ერთს, ჩვენის აზრით, უმთავრესს. ეს მიზეზი არის ეკონომიური.

მთელს თავისს სიცოცხლეს გლეხ-კაცი ატარებს მძიმე და მწარე შრომაში, მაგრამ მაინც მხოლოდ იმდენს ჰშოულობს, რამდენიც საჭიროა ფიზიკურის მოთხოვნილებისათვის, რომ ისულდგმულოს. მეტის ხარჯისათვის არა აბადია რა. თითო პურის მარცვალი, თითო ტარო სიმინდი თითო დღის შრომად უზის. ეს თუ ასეა, რას უნდა ჰფიქრობდეს გლეხ-კაცი, როდესაც მიადგება კარზედ კრებული (მღვდელი, დიაკვანი, მნათე) ჩანახითა და ტომრით დრამის სათხოვნელად. იმას, რომ ყველა ჩემი მყვლეფავია ერიდგან დაწყებული მღვდლამდისაო. მეორედ მღვდელი ქათამსა სთხოვს, მესამედ—ღვინოს და ყოველსავე, რაც წესითა და კანონით დადებულია. მაგრამ რაც უნდა კანონიერი და წესიერი თხოვნა იყოს, იგი უკმაყოფილოდ რჩება, რადგანაც ჰხედავს, რომ მღვდელს ამ წუთში მისთვის არა მიუცია რა სასყიდელი და ამ პურს რაში მთხოვსო. „არა მაქვს, შენი ჭირიმე, სამყოფი არ მომივიდა და აბა რა მოგართვა. ამოდენა ოჯახი მე მაწევს კისერზედ და რომ დამაკლდეს, მე ვიღამ უნდა მომცეს“ და ბევრი ამისთანა. თუ თავმდაბლად უთხრა, კიდევ კარგი; მაგრამ მაგარიც ის არის, რომ უმეტესად გაჯავრებით ითქმის ამისთანა სიტყვები. „შე დალოცვილო, ხემწიფიდგან ჯამაგირს იღებ, ამოდენა შემოსავალიცა გაქვს, ვერა გყოფნის და მე რომ მომდგომიხარ კარზედ, საიდგან უნდა მოგცე“. თუ უქონელი ამას ეუბნება, მქონებელი უარესს უპასუხებს: „მე რას მომაცივდი, მამაო, მარტო მე ხომ ვერ შეგინახავ, მოგცეს ყველამ და, ბატონი ბრძანდებით, მეც მოგართმევთ“. მღვდელსა სწყინს ამპარტავნული და გაჯავრებული კილო მობაასესი, „წესია და უნდა მომცეო!“ ეუბნება მღვდელი პასუხად და ხდება მთელი უსიამოვნობა. რა ჰქმნას მღვდელმა, ან დიაკვანმა? ღარიბი უქონლობით არ აძლევს, მდიდარი „სხვამაც მოგცესო“, ეუბნება, და რჩება ხელ ცარიელი. მერე მღვდელმა რითი იცხოვროს? ყველამ ვიცით, რომ სამღვდელოება არ არის უზრუნველყოფილი ჯამაგირით და იძულებულია მრევლის ხელში შემაყურებელი იყოს. მომეტებულს სამრევლოში ჯამაგირი 100—125 მანეთს არ აღემატება და იმასაც სრულიად ვერ იღებენ, რადგან ხაზინაშივე უჭერენ სხვა და სხვა საჭიროებისათვის. ამ ფულით როგორ იცხოვროს? მარტო ერთის შვილის გამოზრდას სასულიერო სემინარიაში 150—200 მანეთი უნდა წლიწადში და ოჯახს რაღა? თუმცა ეხლახან ზოგან მოემატათ ჯამაგირი, მაგრამ ამან უფრო დიდი უთანხმოება გამოიწვია მრევლსა და მღვდელს შორის. ეს მომატებული ჯამაგირი შესდგება დაახლოვებით მთელის კრებულისათვის 400 მ. აქედგან ხაზინაში გამორიცხული გამოდით და კრებული ორთაშუა რიცხვით იღებს 340—360 მ. ამ მცირეოდენის ფულის მომატებით მთავრობამ შესაძლოდ ვერა სცნო, რომ დრამა მოესპო და... გაძლიერდა უსიამოვნობა. სადაც ჯამაგირი სულ მცირეა, იქ მრევლი კანონიერად მაინცა სთვლის დრამას. ახლა-კი მრევლი ეუბნება: „ხელმწიფემ ჯამაგირი იმიტომ მოგიმატა, რომ დრამა უნდა მოისპოსო“.

ამისთანა სცენების შემდეგ რა ნდობა და სიყვარული უნდა იყოს მრევლსა და მოძღვარს შორის, როდესაც ერთმანეთს სიძულვილით უცქერიან (ჩვენ, რასაკვირველია, არ ვამბობთ, რომ უეჭველად და უეჭველად ყველგან ასრე არისო; ჩვენ უმრავლესობაზედა გვაქვს ლაპარაკი). უქადაგოს ახლა მოძღვარმა, რომ სკოლა დააარსეთ, სწავლა-განათლება კარგიაო და ხალხი რა გულით მიიღებს. „მაგას აი თავისის შვილის (ან ნათესავის) დარდი აქვს, რომ ჯამაგირში ჩააყენოს და თითონაც ერგოს რამე, თორემ ჩვენთვის თავს რად შეიწუხებსო“, ჰფიქრობს გლეხ-კაცი, რაკი ყოველს სიტყვასა და მოქმედებას მოძღვრისას ეჭვით უცქერის. ამის შემდეგ როგორღა გავამტყუნოთ მღვდელი. რაც უნდა ძლიერ მოწადინებული იყოს, მაინც ვერას შეასმენს. გარწმუნებთ, რომ ბევრჯელ სკოლის დაკეტაც შედეგია მღვდლის და მრევლის უთანხმოებისა ერთმანეთთან.

ამ არა-სასურველს მოვლენას მიაქცია დიდი ყურადღება წარსულის წლის გიორგობისთვეში მომხდარმა ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების კრებამ. მრავალთ წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ამ მოვლენის მოსასპობლად გლეხ-კაცს დრამა ფულად გამოართვან, სახელდობრ კომლზედ სამი მანეთი, და ეს ფული პოლიციამ შეჰკრიბოს ხაზინაში შესატანად, საიდგანაც სამღვდელოება თავისუფლად მიიღებს. ამითი დიდი შეღავათი ეძლევა გლეხ-კაცობას. ორთაშუა რიცხვით, თითო კომლი იხდის ეხლა (კოდიდგან ორ კოდამდე პურს (4—8 ფუთი), ერთ თუნგ ღვინოს, ქათამს, 20 კაპ. და სხ.)*) 6—7 მანეთს. მაშასადამე სამღვდელოება თითქმის ნახევარზედ ნაკლებსაც სჯერდება, ოღონდ-კი მოისპოს ის უსიამოვნობანი, რომელიც ასე ხშირია ჩვენს სოფლებში. ამ საკითხის უფრო საფუძვლიანად გამორკვევისათვის ყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს ნება-დართვით შესდგა კომისია სოფელში მყოფ და ნამყოფ მღვდლებისაგან თვით მაღალყოვლად უსამღვდელოესის ფლაბიანეს თავმჯდომარეობით. იმედია, რომ ამ კითხვას საფუძვლიანად გამოარკვევს ეს კომისია და კიდეც დამტკიცდება ზემოხსენებული აზრი, ვისგანაც ჯერ არს. როგორც სჩანს, უმაღლესი მთავრობაც მოწადინებულია და ამით უფრო გვეძლევა იმედი, რომ ეს საკითხი სასურველად გარდასწყდება და დაბოლოვდება. თუ ეს ასე მოხდა, მაშინ ცოტად თუ ბევრად დამყარდება სიყვარული და ნდობა მრევლსა და მოძღვარს შორის და ამითი-კი მღვდლებს შეძლება მიეცემათ გაავრცელონ ხალხში სასარგებლო აზრები, რომლებსაც ეხლა ასე უნდობლად ეგებება ჩვენი სოფლელი.

ბასილ

*) ყველა ეს დადგენილი და დამტკიცებულია 1818 წელს საქართველოს ექსარხოსის თეოფილაქტეს დროს.

ბასილ

# უცხოეთი

—

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ამ ბოლოს დროს ინგლისელებმა ხელახლა მიჰყვეს ხელი სასტიკ ცენზურას, რის გამო ნამდვილ, ჭეშმარიტ ცნობებს სამხრეთ აფრიკიდგან ვედარავინ იტყობს. ვერაფერი გაუგიათ განსაკუთრებით ბურების გენერალ ოლივიესა და იმის ჯარის შესახებ. არ იციან, ეს გენერალი გაუსხლტა თუ არა ინგლისელებს. ჯერ იუწყებოდნენ, რომ ოლივიემ დაამარცხა გენერალი გატაკრი, შემდეგ ამბავი მოვიდა, რომ ოლივიე მოიმწყვდიეს ინგლისელებმა და მალე კრონიეს დღეს დააყენებენო. ოლივიე ძალიან მოხერხებული კაცია და ამ ომში ბევრჯელ თავიც ისახელა. ომის დაწყებიდგანვე ეს გენერალი ორანჟეს რესპუბლიკის სამხრეთით მოქმედებდა. იქ რამდენჯერმე დაამარცხა ინგლისელები, სხვათა შორის, ორგანკოლსბერგთანა და რენსბურგთან უკუ აქცია მრავალ რიცხოვანი ჯარი მოწინააღმდეგისა. შემდეგ ოლივიე კაპის ახალშენში აპირებდა თურმე წასვლას, იქაურ ბურების აჯანყებას და იმათგან ჯარის შედგენას. მაგრამ კრონიეს დამარცხების ამბავი რომ მიუღია, თავისი წინანდელი განზრახვა გადაუდვია და ჯარით ჩრდილოეთისაკენ წასულა სხვა ჯართან შესაერთებლად. ოლივიეს რამდენჯერმე გადაუღობეს გზა, მაგრამ ვერც დაამარცხეს და ვერც შეაჩერეს. პირიქით რამდენჯერმე დიდადაც დააზიანა მოწინააღმდეგე. ოლივიე გასცდენია იმ ადგილებს, რომელიც ინგლისელების ხელშია, მაგრამ როდესაც გაუგია, რომ მეორე რაზმს ბურებისას ინგლისელები გზას უღობავენო, უკანვე დაბრუნებულა ამ რაზმის მისაშველებლად, შეუერთებია თავისს ჯარისთვის ეს რაზმი და ინგლისელების გენერალი ფრენჩი ისე ძლიერ დაუმარცხებია, რომ ეს უკანასკნელი ბლუმფონტენში გაქცეულა. შემდეგ ოლივიეს იერიში მიუტანია ინგლისელების მეორე გენერლის პილკერის ჯარზედ და ეს ჯარიც უკან დაუხევია. ამის შემდეგ რა მოხდა, აღარ იციან. ზოგის აზრით, ოლივიე გაუსხლტა ინგლისელებს და ეხლა უშიშარს ადგილას არის, ზოგისა კიდევ, ამ გენერალს ინგლისელები შემოერტყნენ და დღეს არა ხვალ დაამარცხებენო.

— როგორც ლედი-სმიტიდგან იუწყებიან, ბურები ძალიან ამაგრებენ თურმე ლედი სმიტიდგან ტრანსვაალში მიმავალ გზას, განსაკუთრებით-კი დრაკონის მთების გასავალს. ბურების პოზიცია ამ მთებში ძლიერი და მიუდგომელია თურმე.

— ლორენცო-მარკეზიდგან იუწყებიან, რომ აუარებელი ევროპიელი მიდის ბურებთან ინგლისელების წინააღმდეგ საბრძოლველადო. ყოველ დღე საფრანგეთის და გერმანიის გემებს 500 კაცი მოჰყავს აქ. თავისუფალი მეომარნი უმთავრესად ფრანგები, ჰოლანდიელნი და ბელგიელნი არიან თურმე.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ თხუთმეტის წლის წინად საფრანგეთის მთავრობამ დაადგინა იმ ოჯახს, რომელსაც შვიდი ან მეტი შვილი ჰყავს, ერთ-ერთი შვილი სახელმწიფო ხარჯით გაუზარდოს. მთავრობას ეგონა, რომ ასეთი ოჯახი ცოტა აღმოჩნდებაო და ამისთვის მხოლოდ რამდენიმე ასი ათასი ფრანკი გადასდო. მაგრამ როდესაც თხოვნები შეიტანეს, აღმოჩნდა, რომ ასეთი ოჯახი 250,000 ყოფილა. ამდენ ბავშვების აღსაზრდელად საჭირო იყო სულ ცოტა 250 მილიონ ფრანკის გადადება, მთავრობას-კი ამდენი არა ჰქონდა, ამიტომ თავისი პროექტი გააუქმა. ამ რიგად თხუთმეტის წლის წინად, საფრანგეთში 250,000 ოჯახი ყოფილა ისეთი, რომელთაც შვიდ-შვიდი და მეტი ბავშვი ჰყოლიათ. 1891 წლის აღწერის დროს მოკრეპილ იქმნა საყურადღებო ცნობები იმ ოჯახის შესახებ, რომელთაც 6, 5, 4, 3, 2 და 1 ბავშვი ჰყავდათ. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, 322,651 ოჯახს ექვს-ექვსი ბავშვი ჰყოლიათ, 972,285—5, 975.616—4. შემდეგ, ოჯახთა 15%-ს—სამ-სამი ბავშვი ჰყოლიათ, 22%—ორ-ორი და 24%—თითო.

* * *

ამას წინად, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, პარიჟში ცეცხლი წაეკიდა ერთს საუკეთესო და მდიდარ თეატრს—„Comedie Francaise“-ს. პარიჟში წინადაც თეატრები არა ერთხელ და ორჯელ გამხდარან ცეცხლის მსხვერპლნი. 1763 წელს 6 აპრილს ცეცხლს სრულიად გაუნადგურებია ოპერის თეატრის დარბაზი, რომელსაც მაშინ სამეფო სამუსიკო აკადემიას ეძახდნენ. 8 ივნისს 1781 წელს ხელ-ახლა წაეკიდა ცეცხლი იმავე თეატრს, დაიღუპა იმ დროს 20 კაცი. 15 იანვარს, 1838 წელს დაიწვა პარიჟში ეგრეთ წოდებული იტალიური თეატრი. თეატრი სულ ერთიან გადაიბუგა. 28 ოქტ. 1873 წელს წაეკიდა ცეცხლი ოპერის თეატრს, ეს თეატრიც სრულიად გადიწვა. დაიღუპა რამდენიმე კაცი, მრავალი ძვირფასი და ძველი ნივთები, არქივი და სხვა. მაგრამ ყველაზე საზარელი ამბავი 25 მაისს 1887 წელს მოხდა, როდესაც ცეცხლი თეატრს „l'Opéra Comique“-ს წაეკიდა. დეპუტატთა პალატაში ბერტელომ განაცხადა, რომ თეატრი ძლიან საშიშად არის აგებული და ცეცხლი ადვილად გაუჩნდება, ხოლო თუ ცეცხლი გაჩნდა, აუარებელ ხალხს იმსხვერპლებსო. ეს სიტყვები ბერტელოს 12 მაისს 1887 წელს უთქვამს, 25 მაისს იმავე წელს წარმოდგენის დროს, როდესაც თეატრი ხალხით იყო გაჭედილი, ცეცხლი მართლაც წაეკიდა თეატრს. მრავალი ხალხი დაიღუპა ამ დროს.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი ძთ).

ტყავზედ ნაწერი წიგნი (№ 137, in quarto, ფურც. 342, რომელთაგან 183—186 პოლიმპსესტი) არის სამოციქულო, თარგმანი ბერძულისაგან ქართულად მე-XI საუკუნის სახელოვანის მოღვაწის ეფრემ მცირის მიერ.

წინა სიტყვაობაში ეფრემ მცირე სწერს (ფურც. 2):

რომელთა სიტყვისა და ბრძანებისა სათანადო არს დამორჩილებაჲ და მსახურებაჲ სარგებლისათჳს ძმათაჲსა: რათა ვითარცა ჩვენ სხვათა მიერ მოგვლებიეს სარგებელი. ეგრეთცა ჩუენ სხუათა სარგებელ ვეყოფოდით რაოდენ ძალგუედვას რომელლცა სახითა:. და რათა მკურვალედ ველტოდით შურისა მისგან რომელმან იგი დამალა ტალანტი ოფლისაჲ ქუეყანასა შინა ვითარცა იტყჳს ოფალი:.

მე უკუე პირველ რაოდენისამე ჟამისა სამოციქულოჲ ესე წიგნი პავლე მოციქულისაჲ თავთავოანად აღმოვიკითხე და აღვწერე. და წარვეც ვისსამე ნეტართა მამათა ჩუენთაგანსა. რომელსა იგი ებრძანა ჩემდა ამისი ქმნაჲ: და ვითარცა კიცუმან უმეცყსომან. გინა ყრმამან უსწავლელმან. უქმი და უვალი გზაჲ ვლე. რამეთუ არცა ვინ მეხილვა სალთოთა მათ ქადაგებათაგანი მუნ ჟამადმდე ამის პირისა თჳს მოსწრაფე ქმნილი:.

რამეთუ არა ვარ ესოდენ თავკედ, რათამცა მოძღუართა მიერ კეთილად აღწერილი შეურაც ვყავ უნდოჲსა მის და უსწავლელისა მეცნიერებისა ჩემისა სიუცბით.:.

მაშინ უკუე ვითარცა ვთქუ ეპისტოლენი წმიდისა პავლე მოციქულისანი აღვწერენ თავთავოანად: და აწ კუალად საქმე მოციქულთაჲ შჳდ თავთა მათ კათოლიკეთა თანა. და წარმოვეც შენდა: და შევრდომით და ვედრებით ორისავე მის წარმდებებისა თვის ერთბამად შენდობასა ვითხოვ:.

და ყოველთავე მამათა და ძმათა ვევედრები. რომელნიცა მიემთხჳნენ ჩემ მიერ განწესებულსა ამას თავთა რიცხვით აღნიშნულთა. რათა წესისა მისთვის სიყვარულისა ერთობით შემნდობელ მექმნენ ცთომათა ჩემთა. და უსწავლელობისა ჩემისა სიუცბესა:.

და რათა ძმებრივითა სიყუარულითა უფროჲ სად გაჰნმართონ თითოეულსა თავისა ცთომაჲ სადაცა რა საკმარ იყოს:.

რამეთუ მაშინ მამობრივმან წამისყოფამან კადნ ერ გუქმნა შეკადრებად საქმესა უფროს ძალისა ჩუენისასა:.

და აქა ძმებრივმან გულითადმან სიყუარულმან მორჩილ გუყვნა:. ვინაჲცა კუალადცა კადნიერ ვიქმნები კელყოფად:. რამეთუ ძმათა შორის და მამათა სიყუარული ყოველსავე თავს იდებს: და არასადა შეურაცჰყოფს ერთსაცა ასოთა თჳსთაგანსა. რამეთუ ღუთისა მიერ მოცემულ არს ჩუენდა სჯული ესე ძმათ მოყურობისა და სიყუარულს: რომელსა იგი სიყუარული ჰპებავს. და ამას გუამცნებს მარადის. ვითარცა იგი იტყჳს: ვითარმედ სიყუარულმა დაფარის სიმრავლე ცოდვათაჲ:.

ხოლო მე ქრისტეს მოყუარეო და საწადელო ძმაო. სამართლად და ჭეშმარიტებით გიცი შენ თანა ზრდილ და მოყუას და მეგობარ ღუთივ ქებულისა მის სალუთოთა სიტყუათა წურთისა და გულის კმის ყოფისა:. რომლისა მიერცა განჰნათლდი. და ბადეთა მათ შინა მისთა შეპყრობილმან სასურველისა მის სახელისა მისისა სეხნაობაჲ საქმით მოიგე და უძილად და უცონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად წურთითა მისითა სამარადისოჲთა სული შენი აღაყუავე:

რომლისათვის იტყვს ბრძენი ვინმე. ვითარმედ „წურთაჲ წერილთაჲ არს საქმე ფრიად სარგებელი“:. და კუალად ბრძენი ბრძენთაჲ ესრეთ იტყვს: ვითარმედ „ყოვლისავე ცხორებისა კაცთაჲსა სარგებელ არს იგი: და უკუეთუ ვინმე სულმოკლე იქმნას მისგან, ზღვევასა და დაჭირვებასა არა მცირედსა მოატყუბს თავსა თჳსსა მცონარებითა თვისითა: და იჯმნის ნეტარებისა მისგან... რათა ყოველნივე ფრთხილ იყვნენ და ღუთის მსახურ...

აგრეთვე სახედ არს ჩუენთანა კითხვისა და სწავლისა ქრისტეს სწავლულისა ბუნებაჲ: რათა დღითი დღე უმახვლეს ხედვედ სიწლოჲსა მის მისისა აღამაღლებს სულსა მას წურთილსა მის მიერ:.

რომელი ესე კეთილად წარგიმართებიეს შენ საყუარელო ძმაო ათანასი: რამეთუ ხარ შენ სწავლის მოყუარე და გულის კმის მყოფელ და მეგობარ საღთოთა სიტყუათა:

ვინაჲცა საქმესა მას წმიდათა მოციქულთასა კათლიკითურთ და ებისტოლებით პავლე მოციქულისაჲთ წარკითხვად და აღწერად მიბრძანე:. და ვითარცა ზედა მიწევნით და გამოწულილვის გებრძანა, მასვე პირსა ზედა მოხარკე ვიქმენ აღწერად. რაოდენ უძლე:

რამეთუ პირველად აღვწერენ თავნი მუკლ მუკლად, რომელნი იგი აუწყიენ ძალსა თითოულისა თავისასა რიცხვთა მით და ვარსკულავითა:. და კუალად ეგრეთვე კერძო განყოფასა და განზოგებასა თავთასა:. და ეგრეთვე მსგავსად განვთესენ რიცხუნი იგი და ნიშანნი ყოველსავე წიგნსა შინა: რათა ადვილ იყოს პოვნად:.

ამათ თჳთ ეფრემ მცირე მეტყველებს:*)

სახედ სიბრძნისა გიწეს, მოედ და შეედ და განიცადე წიგნი სამოციქულოჲ, ვითარ მოქმედებს მას შინა იატაკად ლუკა საქმესა ქრისტეს მოციქულთასა, და იაკობ და პეტრე იოვანეთურთ შეუდგნენ შჳდთა სუეტთა იუდაჲსთანა, ოლო სართულსა მისსა პავლე შეამკობს შენაკერითა ოქრო ცხებულებითა. რათა შვიდობაჲ კათოლიკეთაჲ, დაჰრთოს ებისტოლეთა მიერ მრჩობლ შვდეულთა. ამათი თჳსად განმსაკუთრებელი, უფალო, თჳსად შენდა განისაკუთრე:.

და არსენ მეტყუელობს ამათ იყალთოელი**)

წმინდა მყოფელი მიითუალე საუნჯე, იყნოსე მისთა მიჰრონთა სულნელობაჲ, განწყობილისა იხილე ვითარებაჲ, ნივთ უბრწყინვალეს ოქროსა გექმენინ შენ; ინებოს, რაჲამს უწყებად შენდა ლუკა საქმე სიტყუსა მოწაფეთაჲ და მიერ აღვედ იაკობ იუდისა ძმასა ბრძნისა მან წარგავლინოს ძისა მიმართ ტრედისა: ორთა ამათ რაჲ თანა წარკდე, გეხრახოს ცაჲ პირმეტყუელი და თავი ღვთის მეტყველთაჲ იუდაჲს მიერ შვიდეულად სრულ იქმნენინ, ქადაგთა ოთხთა შვიდნი კათოლიკენი უშანგანეს შეხვიდე თუ გეპოვნენინ, ლოდნი ათოთხმეტ რიცხუნი პატიოსნენი ორღანოოსა მის ღუთის ებისტოლენი. იყვნედ ესენი ნათელ ალაგთა შენთა.

ეფრემ მცირე და არსენი იყალთოელი შესანიშნავი მოღვაწეები არიან, ჩინებულნი მწერალნი, ფილოსოფოსნი. ეფრემი სცხოვრობდა მე-XI საუკ. დასასრულს და არსენი-კი იყო მოძღვარი დავით აღმაშენებლისა († 1125 წ.) მას ჟამს საქართველოში ჰბრწყინავდა კახეთი მისის აკადემიებით გრემსა და იყალთოს. აქვე, იყალთოს, ჰმოღვაწეობდა თვით არსენი იყალთოელი. მისს შესახებ საუბარი გვექნება „ქართულის მწერლობის“ მეორე წიგნში.

მ. ჯანაშვილი

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

20 მარტი

**პეტერბურგი.** 19 მარტს მათი უდიდებულესობანი, ხელმწიფე მემკვიდრე და დიდნი მთავარნი ინვალიდთა სასარგებლოდ გამართულს კონცერტზე ბრძანდებოდნენ.

**ლონდონი.** „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ ბუენოს-ჰაეროსიდგან, რომ კვირიდგან დაწყებული განუწყვეტელი წვიმა მოდისო. ასეთი წვიმა აქეთ არაოდეს არ ყოფილა. ქალაქის ჩრდილოეთი, სამხრეთი და დასავლეთი ნაწილები ტბებს წარმოადგენენ გზები შეკრულია და მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია. ნათესი ძალიან არის დაზარალებულიო.

**ვაშინგტონი.** როგორც იუწყებიან, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგმა უებსტერ დევისმა სამხრეთ აფრიკიდგან დაბრუნებისას თანამდებობას თავი გაანება. დევისმა თეატრი დაიქირავა სადაც აზრადა აქვს ლექციები წაიკითხოს. ლექციებში დევისი გაჰკიცხავს ინგლისელებს და იმ აზრს გამოსთქვამს, რომ შტატები უნდა ჩაერივნენ სამხრეთ აფრიკის საქმეშიო.

**ქრისტიანია.** „Altonp“-მა შემდეგი დეპეშა მიიღო სამხრეთ პოლიუსისაკენ გაგზავნილ ბორკ გრევინკის ექსპედიციისაგან (დეპეშა ახალ-ზელანდიიდგან არის გაგზავნილი): ექსპედიციამ მიზანს მიაღწია და გამოიკვლია ის, რაც საჭირო იყო. იქ პედიციამ მარხილებით 78°50 მდე მიაღწია. ზოოლოგი ნიკოლოოზ ჰანსენი გარდაიცვალა. დანარჩენნი კარგად არიან. დღემდის 78°4'-ს არავინ გასცილებია“.

**ჰააგა.** სიმართლეს მოკლებულია ჟურნალ „Mem. Dipl“.-ს მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ ინგლისს პროტესტით მიემართოს ჰოლანდიის მთავრობისათვის იმის გამო, რომ იქ ინგლისისათვის საწყენი კარიკატურები ვრცელდება.

**ლონდონი.** ბუშმანკოპიდგან იუწყებიან: „ჯარი, რომელიც ცხენოსნებისა, ორის არტილერიის ბატარეისა და აჩხედრებულ მეომართაგან შესდგებოდა და რომელიც ტაბანჩუში იდგა, პოლკოვნიკის პილჩერის უფროსობით, წარსულ საღამოს უნდა გასულიყო ტაბანჩუდგნ, რად განაც გაიგეს ბურების დიდის რაზმის მოახლოვება. ინგლისის ჯარი ბლუმფონტენის წყლის მილთან მივიდა, მდ. მოდდერის სამხრეთით, სადაც დილის 4 საათზედ დაბანაკდა. გათენებისას ბურებმა ბანაკს ყუმბარები დაუშინეს. ბროდვორდმა ურმები და ბატარიები გაჰგზავნა, დანარჩენი ჯარი დასტოვა, რომ უკან დაწევის დროს მტრისთვის პასუხი გაეცა. სურსათითა და ბარგით დატვირთული ურმები მდინარის ღრმა კალაპოტთან მივიდნენ, სადაც ბურები ყოფილიყვნენ დამალულნი; ამ რიგად მთელი რაზმი სამალავში მოჰყვა და ბურებმა ტყვედ წაიყვანეს. ხელთ ჩაიგდეს ბურებმა ექვსი ზარბაზანი. მოკლული და დაჭრილი ცოტაა, რადგანაც სამალავში ჩასვლამდე ბურებს არ უსროლიათ. გენერალ კოლვილლის დივიზია, რომელიც დღეს დილით გამოვიდა ბლუმფონტენიდგან, 12 საათზედ მოვიდა აქ და ყუმბარები დაუშინა მტერს“.

**სიდნეი.** 11 კაცი გახდა ავად შავის ჭირით, ამათგან ორი გარდაიცვალა.

**პეკინი.** ჩინელ მეამბოხეების მიერ ინგლისელ მისსიონერის ბრუკსის მოკვლის გამო ინგლისის მთავრობის მოთხოვნილებით, დასჯილ იქმნენ მკვლელნი: ორს თავი მოჰკვეთეს, ერთს სამუდამოდ მეორეს 10 წლით და მესამეს ორის წლით საპატიმრო გადაუწყვიტეს. შემდეგ ჩინეთის მთავრობის ხარჯით იმ ადგილას, სადაც მკვლელობა მოხდა, ააგებენ ნიშს.

როგორც უკანასკნელად მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, იმ ოლქებში, სადაც საიდუმლო საზოგადოებანი მოქმედებენ, თან და თან მშვიდობიანობა მყარდება, რადგანაც გაზაფხული დადგა და მცხოვრებთ მუშაობას მიჰყვეს ხელი.

21 მარტი

**პეტერბურგი.** 20 მარტს დასრულდა სრულიად რუსეთის ხელოსანთა კრება.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდგან 19 მარტს: „ეს არის ეხლა ამბავი მოვიდა, რომ ბურები ლედი ბრანდისაკენ წასულან; დაჭრილი ინგლისელნი თან არ წაუყვანიათ. 70 კაცამდე წყლის მილთან არის დატოვებული. სასანიტარო რაზმი გავგზავნეთ იქა“.

რობერტსი დეპეშით იუწყება, რომ დავათვალიერე ის ადგილი, სადაც ბურები ინგლისელებს ჩაუსაფრდნენო. შემაძრუწუნებელი სანახაობაა: მიწა დაფენილია ცხენების გვამებით, ურმების ნამტვრევებით, აქა-იქ კაცის გვამებიც მოჩანს. მხოლოდ იმ კაცების მამაცობამ, რომელნიც გზაზედ იყვნენ ხელი შეუშალა მთელის რაზმის ამოწყვეტას. ერთმა ბატარეამ მოახერხა წასვლა, თუმცა საოცრად დარწყეს ბურებმა სროლა. მტერს ხუთი კაცი მოუკლეს და 9 დაუჭრესო.

**პრეტორია.** ოფიციალურია. ბურებმა წაართვეს ინგლისელებს ბლუმფონტენსა და ტაბანგუს შუა ექვსი ზარბაზანი და 200 დატვირთული ურემი.

**პრეტორია.** ბრანდფორტთან პარასკევს ხელ-ახლა მოხდა ბრძოლა. დაწვრილებით ცნობები არ მოსულა მაგრამ როგორც ისმის, მოკავშირეთა ჯარს დიდი ვნება მიუყენებია ინგლისელ ულანებისათვის. ბურების მხრივ მხოლოდ რამდენიმე კაცია დაჭრილი. შაბათს ბრანდფორტის მხრიდგან ხელ-ახლა ისმოდა სროლის ხმა. როგორც ისმის, შაბათს მეფეკინგთან ბრძოლა მომხდარა იმ ჯართან, რომელიც ამ ქალაქის განსათავისუფლებლად მიდიოდა. ინგლისის ჯარს უფროსობდა პლუმერი, რომელმაც დიდის ზარალით უკან დაიხია.

**ბუშმანკოპი.** იქ, სადაც გუშინ ბრძოლა მოხდა, ბურები დღეს დილამდე დარჩნენ, შემდეგ წავიდნენ, ბურებს რეიხმანი უფროსობდა. დასტოვეს ბურებმა ბრძოლის ველზედ მათთან მყოფი სამხედრო ატტაშენი; ერთი ამათგანი, ჰოლანდიელი ნიკსი მძიმედ არის დაჭრილი,

**კიმბერლეი.** 400 ბურები ბეტსვონთანა სდგას 700 ვიტრანდთან კლიპდამის ჩრდილოეთით და 6000 მდეც მდინარე ვაალთან.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ გაუგონია, რომ ჯერ არ არის გარდაწყვეტილი როდეზიაში ჯარი გენერალ კარრინგტონის უფროსობით რა გზით უნდა გაიგზავნოსო. თუ ბეჩუანში რკინის გზა არ იქმნა ხელ-ახლა მოწყობილი, შეიძლება ეს ჯარი ბეირში გაიგზავნოს ბეირ-უმტალი სოლსბერის რკინის გზითაო. სააგენტო უმატებს, რომ არიგებს პორტუგალიასთან ხელ შეკრულება. რომელიც ინგლისს ნებას აძლევს ასე მოიქცესო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ტყვე-ბურების წმ. ელენეს კუნძულზედ გაგზავნის თაობაზედ ეუწყა პალატას, რომ მთავრობამ ეს საქმე ყოველის მხრით განიხილა, მაგრამ შეუძლებლადა სცნო რამოდენიმე ტყვე მაინც არ გაჰგზავნოს კუნძულზედაო. ფლინნი შეეკითხა: იმიტომ ჰგზავნით იქ ტყვეებს, რომ სხვაგან დაპატიმრება საშიშია, თუ რა მიზეზის გამო? ბალფურმა მიუგო, რომ იქ ტყვეები სამხედრო მოსაზრებით იგზავნებაო.

მარკიზი ლონდონდერრი დანიშნულ იქმნა გენერალ-ფოსტმეისტერად.

**ვინდზორი.** გუშინ დედოფალი დუბლინში წავიდა და დღეს შუადღისას მივიდა იქ. დედოფალს ახლავან პრინცესსა შლეზვიგ-გოლშტინისა და პრინცესსა ბეატრისა ბატტენბერგისა.

**რომი.** პალატამ ხელ-ახლა აირჩია ძველი ვიცე-პრეზიდენტები.

**პარიჟი.** პალატა სახალხენო ჯარის საქმის განხილვას შეუდგა. გალიფემ, სხვა და სხვა ორატორის საპასუხოდ სთქვა: „ჩვენი სანაპირო ადგილები უზრუნველყოფილია თავს დასხმისაგან. არც იმის შიშია, რომ ჩვენ სანაპირო ადგილებზედ ჯარი გადასხას ვინმემ, მაგრამ არ შეიძლება ის ჯარი, რომელიც ამ ადგილების დასაცველად არის მიჩნეული, ორს უფროს ემორჩილებოდეს. ჩვენი მიწა-ადგილის დაცვის საქმეები სამხედრო სამინისტროს უნდა ეკითხებოდეს“, მინისტრმა მოითხოვა, რომ სახალხენო ჯარი სამხედრო სამინისტროს დაუქვემდებარონ.

**ლონდონი.** „Daily Chronicle“-ს ბლუმფონტენიდგან დეპეშით ატყობინებენ 20 მარტს, რომ ინგლისელებმა უკანვე დაიბრუნეს ის ზარბაზნები, რომელიც ბურებმა ბროდკორდს წაართვესო. ბლუმფონტენისათვის გამართული წყლის მილი ბურებმა გააფუჭეს.

**ლონდონი.** რობერტსი დეპეშით იუწყება: „ბურები მიერ ნადავლევის წაღების დროს, პოლკოვნიკმა ბროდვორდმა დაჰკარგა შვიდი ზარბაზანი და მთელი თავისი ბარგი იმის სიტყვით ინგლისელებმა 350 კაცი დაჰკარგეს. მათ შორის 200 უკვალოდ“.

**ლონდონი.** გუშინდელი დეპეშა რობერტსისა, ბლუმფონტენიდგან გამოგზავნილი, იუწყება, რომ ბროდვორდმა შეატყობინა, მტერი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდგან ორ რაზმად მოდის ტაბანგუზედა და აზრადა აქვს წავიდე წყლის მილისაკენ, რომელიც 17 მილით უფრო ახლოა ბლუმფონტენზედაო. რობერტს შეუთვლია, რომ გათენებისას მეცხრე დივიზიას მოგაშველებო. ღამე ბროდვორდი წყლის მილთან მისულა და დაბანაკებულა. შაბათს, გათენებისას, ბროდვორდს მტერი სამის მხრიდგან დასცემია ბატარეები და დატვირთული ურმები ბლუმფონტენისკენ გაუგზავნია, ხოლო ცხენოსანის ჯარით მტრის მოგერიება შესდგომია. წყლის მილთან გამომშრალ მდინარის კალაპოტზე მიდის, ამ კალაპოტში ბურები ისე კარგად ჩამალულან, რომ ინგლისელ მზვერავებს გვერდით ჩაუვლიათ და ვერც-კი შეუმჩნევიათ. როდესაც ფურგონებსა და ზარბაზნებს ამ ადგილამდე მიუწევიათ, ბურებს სროლა დაუწყვიათ. წინა მეეტლეები და ცხენები იქვე ამოუწყვეტიათ ბურებს, სხვა ჯარი საჩქაროდ გაშორებია ამ ადგილს. შემდეგ მზვერავებს აღმოუჩენიათ, რომ ბურებს ფონი არ ეჭირათ, ამიტომ ბროდვორდის დანარჩენნი ცხენოსანნი გასულან აქ მდინარის კალაპოტს და ხელ-ახლა დარაზმულან. რობერტს, როდესაც ბროდვორდის გაჭირვების ამბავი შეუტყვია, ფრენჩისთვის უბრძანებია ორის საკავალერიო ბრიგადით მეცხრე დივიზიის მისაშველებლად წასულიყო. ნაშუადღევის საათზედ მე-9 დივიზია მისულა ბრძოლის ველზედ. მტრის ჯარი 8,000—10,000 კაცისაგან უნდა შესდგებოდეს. არ იციან, რამდენი ზარბაზანი აქვთ.

**რომი.** პალატამ პრეზიდენტად კოლომბო აარჩია. კოლომბოს ამოუვიდა 265 კენჭი, ბიანკერის—158.

## წერილი რედაქციის მიმართ

უღრმესს მადლობას ვუცხადებთ ქ-ნ ვ... რა ბაქრაძისას, რომელმაც შეაგროვა ჩვენდამი რწმუნებულ სამკითხველოს სასარგებლოდ შორაპანში 4 მ. 65 კ., და აგრეთვე ბ-ნ ვასილ კალაძეს, რომელმაც შემოსწირა ათი ცალი ქართული წიგნი, ღირებული 1 მ. 50 კ.

დ. ზესტაფონის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე წევრნი: სამსონ ელიაშვილი, ვანო არდიშვილი და ილია მ... ლაკელიძე.


# განცხადებანი

დასასრული

**ქართლის ცხოვრებისა**

მესამე წიგნი

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. ფასი ორ... აბაზი. ისყიდება ყველა წიგნის მ... ღაზიებში.

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!!

**ჰიგიენური**

ბორნო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—2